ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

29 მარტი — დიდი ფეხბურთის დღე! საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად შემასპინძლებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს — გერმანიის ეროვნულ ნაკრებ გუნდს (I, II, III გვ.)

საქართველო — გერმანია: 65 წლის წინათ (IV გვ.)

სპ

25–30 მარტი, 1995 წ. ● №10 (10921)

ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ალექსანდრე ჩივაძე ჩვენი ნაკრების შეფასებაში რეალისტია



მოსკოვის ჟურნალმა „ფუტბოლმა“ (№8) გამოაქვეყნა საუბარი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ალექსანდრე ჩივაძესთან. ცხადია, მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა ცნობილი ფეხბურთელის ამ ინტერვიუს.

ა. ჩივაძემ პასუხი გასცა კორესპონდენტის მრავალ შეკითხვას. მოვიყვანთ ამ საუბრის მოკლე შინაარსს:

— ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგი იყო ჩვენი გამარჯვება უელსის ნაკრებთან, — თქვა ა. ჩივაძემ. — თვით ანგარიში 5:0 ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს, მაგრამ გვქონდა აშკარა ჩავარდნაც, კერძოდ, ვერ გამოვიყენეთ დიდი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოლდოვას გუნდთან შინ და უფრო ვერ განვიმტკიცეთ შანსი შემდგომ სატურნირო ბრძოლაში. მართალია, ბევრი ჩვენი ფეხბურთელი ამჟამად უცხოეთში თამაშობს და შინ მხოლოდ ეპიზოდურად თუ ჩამოდის, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი იქ მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობენ და, როგორც წესი, საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან. ქართველ ფეხბურთელთა განმასხვავებელი თვისებებია მიდრეკილება იმპროვიზაციისადმი, მაღალი ტემპი, ორიგინალური შეტევა, სისწრაფე, სრულყოფილი ტექნიკა. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს აქცენტი ყოველთვის გამარჯვებაზე გავამახვილოთ. თბილისის „დინამო“ მუდამ საბაზო გუნდს წარმოადგენდა ეროვნული ნაკრებისთვის, მაგრამ მისი ბევრი წამყვანი მოთამაშე უცხოეთის კლუბებში გადავიდა, ამიტომაც ნაკრებში უფრო მეტი რაოდენობით გამოჩნდნენ სხვა გუნდების მოთამაშეებიც. ფეხბურთელებს და მწვრთნელებს ერთმანეთის სრული ნდობა და პატივისცემა გვაქვს, რაც, უდავოდ, გვეხმარება საერთო საქმიანობაში. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა გვაქვს მეტი გუნდი წარვადგინოთ ევროტურნირებზე, ვიდრე უწინ, ეს კი დიდად შეუწყობს ხელს ეროვნული ჩემპიონატის საერთო დონის ამაღლებას! მართალია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, ისეთი ძლიერი მეტოქეები გვყავს, როგორებიც გერმანია და ბულგარეთში გახლავან, მათთვის კონკურენციის გაწევა უაღრესად ძნელია, მაგრამ ჩვენი გუნდი ყოველნაირად შეეცდება ღირსეულად გაართვას თავი სატურნირო სიძნელეებს და მაყურებელთა კეთილი განწყობა დაიმსახუროს.

ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფი

გათამაშების ცხრილი ● (მდგომარეობა 29 მარტისთვის)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბულგარეთი	3	3	0	0	9-1	9
გერმანია	3	3	0	0	7-2	9
საქართველო	4	2	0	2	6-3	6
მოლდოვა	4	2	0	2	5-9	6
უელსი	4	1	0	3	4-11	3
ალბანეთი	4	0	0	4	2-7	0

29 მარტს ევროპის ჩემპიონატის VII ჯგუფში გაიმართება კიდევ ორი შეხვედრა: ბულგარეთი — უელსი, ალბანეთი — მოლდოვა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 29 მარტიდან ემზადებიან გერმანიის ნაკრებთან სათამაშოდ:

აკაკი დევაძე „როსტსელმაში“ (რუსეთი)
ირაკლი ზოიძე „დინამო“ (თბილისი)
ზაზა რევიშვილი „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი)
მურთაზ შელია „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი)
კახი ცხადაძე „აინტრაჰტი“ (გერმანია)
გიორგი ჩიხრაძე „ტემპი“ (უკრაინა)
დიმიტრი კუდინოვი „აპოელი“ (კვიპროსი)
ბესიკ ბერაძე „დინამო“ (თბილისი)
კახი გოგიჩაიშვილი „სამტრედია“ (სამტრედია)
თეიმურაზ ქეცბაია აეკ (საბერძნეთი)
გიორგი ქინქლაძე „დინამო“ (თბილისი)
გოჩა გოგრიჭიანი „ომონია“ (კვიპროსი)
რევაზ არველაძე „ტენის-ბორუსია“ (გერმანია)
შოთა არველაძე „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)
გელა ინალიშვილი „ტენის-ბორუსია“ (გერმანია)
გოჩა ჯამარაული „დინამო“ (თბილისი)
მიხეილ ყაველაშვილი „დინამო“ (თბილისი)

* * *

ცნობილი გახდა გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაც:

ანდრეას კეპკე „აინტრახტი“ (ფრანკფურტი)
ოლივერ რიკი „ვერდერი“ (ბრემენი)
მარკუს ბაბელი „ბაიერნი“ (მიუნხენი)
ტომას ჰელმერი „ბაიერნი“ (მიუნხენი)
იურგენ კოხლერი „იუვენტუსი“ (ტურინი)
შტეფან რიუტერი „ბორუსია“ (დორტმუნდი)
მატიას ზამერი „ბორუსია“ (დორტმუნდი)
რალფ ვებერი „აინტრახტი“ (ფრანკფურტი)
ქრისტიან ზიგე „ბაიერნი“ (მიუნხენი)
მარიო ბასლერი „ვერდერი“ (ბრემენი)
შტეფან ფრუნკი „ბორუსია“ (დორტმუნდი)
ტომას ჰესლერი „კარლსრუე“
ანდრეას მიოლერი „ბორუსია (დორტმუნდი)
იენს ტოდი „ფრაიბურგი“
ჰეიკო ჰერლიჰი „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი)
ულფ კირსტენი „ბაიერი“ (ლევერკუზენი)
იურგენ კლინსმანი „ტოტენჰემ ჰოტსპური“

ეროვნული ნაკრები

29 მარტი — დიდი ფეხბურთის დღე! საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად შემასპინძლებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს — გერმანიის ეროვნულ ნაკრებ გუნდს

გერმანიის სპორტული დელეგაცია ჩარტერული რეისით ჩამოფრინდება თბილისს 27 მარტს, დღის 4 საათზე.

იმავე დღეს სტუმართა ეროვნული ნაკრები საღამოს 6 საათზე თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებს ვარჯიშს, ხოლო ახალგაზრდული ნაკრები — რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე.

29 მარტს თამაშის დამთავრების შემდეგ 23 საათზე თბილისის ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში ჩატარდება პრესკონფერენცია.

საქართველოს VI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

XVI ტური

„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (თბილისი) 0-3,
„კახეთი“ (თელავი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-1,
„სანგურალი“ (წყალტუბო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2-1,
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-3,
„დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (ბათუმი) 3-5,
„ივერია“ (ხაშური) — „გურია“ (ლანჩხუთი) 5-0,
„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 0-2,
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 0-0

XVII ტური

„დილა“ (გორი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1-0,
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 0-1,
„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 4-4,
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კახეთი“ (თელავი) 3-0,
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0-1,
„დინამო“ (ბათუმი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 5-2.

ჩვენები — ევროპის ჩემპიონები





გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა საერთაშორისო ფეხბურთში. ამ გუნდს მრავალგზის მოუპოვებია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა, იქაურ საუკეთესო ფეხბურთელებს საყოველთაო აღიარება აქვთ. მაგრამ ჩვენც, საქართველოში, გვყავს ასეთივე რანგის ოსტატები, კერძოდ, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები.

1960 წელს ევროპის ჩემპიონთა საპატიო წოდება დაიმსახურეს შემდეგმა ქართველმა ფეხბურთელებმა:

1. გივი ჩოხელმა,
2. მიხეილ მესხმა,
3. სლავა მეტრეველმა.

1972 წელს ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები იყვნენ მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი.

1988 წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა თენგიზ სულაქველიძემ.

მათ გარდა ევროპის თასისა და ევროპის ჩემპიონატის სხვადასხვა დონის მატჩებში მონაწილეობა მიუღიათ რამაზ ურუშაძეს, ანზორ კავაზაშვილს, გურამ ცხოვრებოვს, გივი ნოდიას, ვლადიმერ გუცაევს, ვიტალი დარასელიას, მანუარ მაჩაიძეს, ვახტანგ ქორიძეს, დავით ყიფიანს, რამაზ შენგელიას, შოთა ხინჩაგაშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს.

სურათებზე: სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი.

საქართველოს თასი

18 მარტი. საქართველოს თასის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩი „დინამო“ (თბილისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 5-1.

ამრიგად, ნახევარფინალში თბილისელთა გარდა გავიდნენ „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (ზუგდიდი), „მეტალურგი“ (რუსთავი). წილისყრა 29 მარტს გაიმართება.

მილოცვა

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე გაზეთის ვეტერან მუშაკს ოთარ ნოზაძეს.

* * *

თბილისის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს ოთარ ნოზაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს რომ გერმანული ფეხბურთის წარმატებებზე გვაქვს საუბარი, საფუძველი მას 1954 წელს ჩაეყარა, შვეიცარიის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც საერთო აზრის საწინააღმდეგოდ სწორედ ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მოიგო. უნგრელებთან ფინალურ მატჩში გადამწყვეტი, მესამე გოლი გერმანელთა ფორვარდმა რანმა გაიტანა. ფოტოზეც სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი, — გოლი, რომელმაც შეარხია უნგრელთა კარის ბადე.

1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი — გერმანიის ნაკრები (მარცხნიდან) ფ. ვალტერი, ტურეკი, ეკელი, რანი, ო. ვალტერი, ლიბრიჰი, ჰოსიპალი, შეფერი, კოლმაიერი, მაი, მორლოკი.

გერდ მიულერი: „ჩემ დროს მეტი გოლი გაჰქონდათ“

გერმანელი ფორვარდი გერდ მიულერი სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში როგორც უნიკალური სნაიპერი. მიულერი (დაიბ. 1945 წ. 3 ნოემბერს) მსოფლიო ჩემპიონი იყო 1974 წელს, ოთხი წლით ადრე კი მესამე პრიზიორი გახდა. მსოფლიო ჩემპიონატებში 13 მატჩი ითამაშა და 14 (!) გოლი გაიტანა: 10 — 1970 წელს, როცა შეჯიბრების საუკეთესო სნაიპერი გახდა და 4 — 1974 წელს. 1972 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ეროვნულ ნაკრებში 62-ჯერ ითამაშა და 68 გოლი გაიტანა. ეს, ალბათ, განუმეორებელი შედეგია. საინტერესოა, რომ მიულერი პელეს საყვარელი ფეხბურთელი იყო. თამაშობდა „ნორდლინგენში“, მიუნხენის „ბაიერნში“, ერთხანს კი, აშშ-ს „ფორტ-ლაუდერდეილ სტრაიკში“. ამჟამად „ბაიერნის“ ჭაბუკთა გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი გახლავთ.

რამდენიმე კითხვა გერდ მიულერს:

● მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში მეტი გოლი გაჰქონდათ ვიდრე ადრე. რატომ?

— ჩემ დროს უფრო მეტი გოლიც კი გაჰქონდათ, თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში საშინელი სიცხე რომ არ ყოფილიყო, ყველაზე მეტ ბურთს გაიტანდნენ.

● ვინ არის, თქვენი აზრით, დღევანდელ თავდამსხმელთაგან ყველაზე უფრო მრავალმხრივი?

— რომარიო.

● ბრაზილიის ნაკრების გამარჯვება ლოგიკურია?

— დღეისათვის ბრაზილიელები მსოფლიოში საუკეთესონი არიან.

● თქვენ რომ მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელი იყოთ, რომელ ფეხბურთელებს მიიწვევდით?

— თავდასხმაში რომარიოს და სტოიჩკოვს, რომლებმაც „ბარსელონაში“ საოცრად შერწყმული დუეტი შეადგინეს. შუა ხაზზე მივიწვევდი შვეიცარიელ სუტერს. დანარჩენებზე ასე ერთბაშად ლაპარაკი მიჭირს.

● თავდამსხმელთა საუკეთესო წყვილი მსოფლიო ჩემპიონატზე?

— რომარიო-ბებეტო.

● როგორ მოხდა, რომ ფინალურ მატჩში გოლები არ გავიდა?

— ორივე გუნდი მხოლოდ იმას ფიქრობდა როგორმე თავის კარში გოლი არ მიეღო. მთელი ძალა შეტევების ჩაშლას მოანდომეს, შემოქმედებითი ფეხბურთისათვის კი არაფერი შემოინახეს.

გერმანული ფეხბურთის ორი ვარსკვლავი — გერდ მიულერი (წინა პლანზე) და უვე ზეელერი.

პაულ ბრაიტნერი: „ფეხბურთში მთავარია ნებისყოფა!“

როგორც მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი, ახლო წარსულში განთქმული ნახევარმცველი პაულ ბრაიტნერი ფიქრობს, ევროპის 1995 წლის ჩემპიონატში გამარჯვებაზე პრეტენზიას რამდენიმე ნაკრები განაცხადებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, გერმანელებიც იქნებიან. ბრაიტნერი ჯერჯერობით თავს იკავებს რომელიმე ძირითადი ფავორიტის დასახელებისაგან.

ბრაიტნერის აზრით, ამ უძლიერეს ნაკრებებს შორის უპირატესობას მოიპოვებს ის, ვინც უფრო მტკიცე ნებისყოფას გამოიჩენს. მისი შეხედულებით, ფეხბურთში ხშირად მთავარი ტექნიკა კი არ არის, არამედ გადამწყვეტ როლს ნებისყოფა ასრულებს!

ბერტი ფოგტსი: „...თუკი ფინალში ვერ გავედით“

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ თუ მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზური ვერ მოიპოვა, იგი არ დაუცდის თავისი კონტრაქტის ვადის გასვლას და დაუყოვნებლივ გადადგება. ამ განცხადებას შეიძლება პროფილაქტიკურიც ეწოდოს, იმიტომაც, რომ ასეთი მარცხის შემთხვევაში გერმანიის ფეხბურთელთა კავშირი ფოგტსს თანამდებობაზე ნამდვილად აღარ დატოვებს.

ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც ტრადიციულად მხარს უჭერს ფოგტსს, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „უგუნურებად მიაჩნია მატჩების ჩატარება ისეთ სუსტ მეტოქეებთან, როგორიც ალბანეთის ან მოლდავეთის გუნდებია. ისინი გერმანელ ფეხბურთელებს მხოლოდ უკარგავენ თამაშის ხალისს“. ბეკენბაუერს მიაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატის დებულება უნდა შეიცვალოს და დასაწყისში მოეწყოს შესარჩევი ტურნირი, როგორც თვით უწოდებს „პატარა ნაკრებებისთვის“

ბეკენბაუერის ეს წინადადება მიმომხილველებს საეჭვოდ მიაჩნიათ და იმ ამბავს იხსენებენ, რომ თვით გფრ-ის ნაკრები ევროპის 1968 წლის ჩემპიონატში ვერ მოხვდა სწორედ ტირანაში ფრეს გამო. ამასაც თავი რომ დავანებოთ, განა ევროპის ახლანდელ ჩემპიონატში არ მოიგეს გერმანელებმა ალბანელებთან ორი მატჩი უდიდესი გაჭირვებით, ერთნაირი „გაჯახირებული“ ანგარიშით 2:1?

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატებში

გფრ-ის ნაკრები ევროპის ჩემპიონატების (1966 წლამდე მას ევროპის თასის გათამაშება ერქვა) უცვლელი მონაწილეა, ამასთან, უმეტეს შემთხვევაში იგი ამ შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე გადიოდა, იქ კი, როგორც წესი, დიდ წარმატებებს აღწევდა.

სრულ ტრიუმფს გერმანელმა ფეხბურთელებმა პირველად ევროპის ჩემპიონატის 1970-72 წლების გათამაშებაში მიაღწიეს. 1972 წლის 18 ივნისს ბრიუსელის „ჰეიზელის“ სტადიონზე, 43.437 მაყურებლის დასწრებით, ფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 სძლიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებს. გოლები გაიტანეს მიულერმა (2) და ვიმერმა. ევროპის ახალი ჩემპიონები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მაიერი, ბეკენბაუერი, ჰიოტგესი, შვარცენბეკი, ბრაიტნერი, უ. ჰიონესი, ნეტცერი, ვიმერი, ჰაინკესი, გ. მიულერი, კრემერსი. გუნდის მწვრთნელი — ჰელმუტ შიონი. ალბათ, ინტერეს მოკლებული არ იქნება საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობის გახსენებაც: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კონკოვი (დოლმატოვი), ტროშკინი, კოლოტოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი), ონიშჩენკო. მწვრთნელები ა. პონომარიოვი და ნ. გულიაევი.

გავიდა კიდევ ოთხი წელი. გერმანელებმა კვლავ მოიპოვეს ფინალურ მატჩში თამაშის უფლება, რომელიც 1976 წლის 20 ივნისს გაიმართა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე (38 ათასი მაყურებელი). ამჯერად ჩემპიონების მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდი იყო. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2, მაგრამ პენალტების სერია ჩეხოსლოვაკიელებმა უკეთ შეასრულეს — 5:3.

გერმანელები, რომლებსაც კვლავ ჰ. შიონი წვრთნიდა, ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მაიერი, ფოგტსი, ბეკენბაუერი, დიტცი, შვარცენბეკი, ბონჰოფი, ბეერი (ბონჰარტცი), ვიმერი (ფლოე); უ. ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაინი.

ევროპის მომდევნო, 1978-80 წლების პირველობაზე გერმანელებმა კვლავ მოიპოვეს ჩემპიონობა. 1980 წლის 22 ივნისს ისინი რომის ოლიმპიურ სტადიონზე შეხვდნენ ბელგიის ნაკრებს (მატჩს ესწრებოდა 47.864 მაყურებელი) და მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ორივე გოლის ავტორი იყო ჰრუბეში.

ევროპის ახალი ჩემპიონების შემადგენლობა: შუმახერი, კალტცი, შტილიკე, ვ.ჰ. ფიორსტერი, დიტცი, შუსტერი, ბრიგელი (კულმანი), ჰ. მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, ალოფსი. გუნდს წვრთნიდა იუპ დერვალი.

ფრაგმენტი გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების შეხვედრიდან (მარცხნიდან): ბეკენბაუერი, ოვერატი, კრუიფი და ბრაიტნერი.

და, ბოლოს, გერმანიის გუნდი მონაწილეობდა ევროპის 1990-92 წლების ჩემპიონატში. მას უკვე ახლანდელი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი ხელმძღვანელობდა. მართალია, მას დიდი თავგადასავალი გადახდა ჯერ კიდევ შესარჩევ ჯგუფში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უელსელებთან კარდიფში დამარცხდა (0:1). ლუქსემბურგელებთან სტუმრად მატჩში ძნელ მოგებას (3:2) გერმანულმა პრესამ „სამარცხვინოც“ კი უწოდა და მწვრთნელის დაუყოვნებლივ გადადგომაც მოითხოვა. გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობისა, და, განსაკუთრებით კი, დიდი ავტორიტეტის მქონე ყოფილი მწვრთნელის ფ. ბეკენბაუერის მხარდაჭერის შედეგად ფოგტსი ამჯერადაც გადარჩა და შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა. მან მოიგო საპასუხო შეხვედრა უელსელებთან (4:1), ყველა სხვა მატჩშიც გაიმარჯვა და საბოლოოდ 6 თამაშიდან 10 ქულით ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

ამ ჩემპიონატის ფინალური ნაწილი 1992 წლის ზაფხულში შვეციაში გაიმართა. აქ გერმანელებს დანიელებთან ფინალური მატჩის წაგების შემდეგ (1:2) მეორე ადგილი დარჩათ. გერმანელმა მიმომხილველებმა ეს ფოგტსს მორიგ მარცხად ჩაუთვალეს, თუმცა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი ამჯერად არ დამდგარა.

ზეფან როიზერი: „ვუბრუნდები ნაკრებს“

— როცა ცნობილი გახდა, რომ ბუხვალდი და ბრემე ნაკრებში უკვე აღარ ითამაშებენ, — ამბობს როიდერი, — ვიფიქრე, ფოგთსი კვლავ მომაქცევდა ყურადღებას. რაც არ უნდა ვთქვათ, ვაგნერი, დირკ შუსტერი და ნოვოტნი ახალბედები არიან, გუნდს სჭირდება ისეთი მოთამაშე, რომელსაც დიდ ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს და ფიზიკური მომზადებითაც არ ჩამორჩება ახალგაზრდებს. ლევერკუზენის „ბაიერთან“ მატჩის შემდეგ, სადაც მე გოლი გავიტანე, შემატყობინეს, რომ ფოგთსმა და მისმა თანაშემწემ ბონჰოფმა გადაწყვიტეს ნაკრებში დამაბრუნონ. და, აი, ბუდაპეშტში უნგრელებთან ამხანაგურ მატჩში (0:0) მივიღე მონაწილეობა. ამას წინათ ნაკრებში თამაშზე უარი ბერტოლდმაც განაცხადა, ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩემი აქციები.

● **ბუდაპეშტში თქვენ მხოლოდ მეორე ტაიმში გამოხვედით მინდორზე. რატომ?**

— სასტარტო შემადგენლობაში სამი დებიუტანტი გამოვიდა — დირკ შუსტერი, ბობიჩი და ტოდტი. აილტრიც, თუმცა ოდესღაც ნაკრებში მოუხმეს, არასოდეს ყოფილა ძირითადი მოთამაშე. მათ შეთამაშება ჭირდებოდათ, ამიტომაც არ გამოვსულვარ სასტარტო შემადგენლობაში. მეორე ტაიმში კი მათეუსი შევცვალე.

● **მაგრამ მისი ფუნქციები არ შეგისრულებიათ.**

— არა, მარჯვენა მცველად ვითამაშე.

● **0:0 კანონზომიერი შედეგი იყო?**

— ჩვენ ბევრი ახალბედა გვყავდა, ამიტომაც უფერულად ვითამაშეთ. ჩვეულ დონეზე იბრძოლეს მხოლოდ კლინსმანმა და ჰესლერმა.

● **დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ ნაკრებში შემდგომ მატჩებზეც მიგიწვევენ?**

— იმედი მაქვს. მე მაფიქრებს მატჩები მოლდავეთისა და საქართველოს ნაკრებთან.

● **არა მგონია, რომ მოლდაველებმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს რაიმე პრობლემა შეუქმნან.**

— პრობლემებს ნებმისმიერ გუნდთან შეიძლება წააწყდეთ, ამიტომაც სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

კარლ-ჰაინც რუმენიგე: „ჩვენი ძალა კონცენტრაციაშია“

გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი გუნდის ძალა ყოველთვის სრულ კონცენტრაციაში, მთელი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაში იყო, რასაც სხვები ვერ ახერხებენ. კონცენტრაციის ეს იშვიათი უნარი გამოვლინდა 1954 წლის მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩში (როცა უნგრელების „დიდი გუნდი“ მათზე ძლიერად ითვლებოდა), 1966 წელს ლონდონში (როცა მათ ფინალური მატჩი წააგებინეს), გნებავთ, 1974 და 1990 წლებში. ყოველივე ეს რუმენიგეს აფიქრებინებს, რომ ევროპის ახლანდელ ჩემპიონატში გერმანელებმა, რომელთაც ესოდენ მაღალი სანებისყოფო თვისებები აქვთ, წარმატებას უნდა მიაღწიონ.

გფრ — საფრანგეთის შეხვედრა. თეთრ მაისურში — რუმენიგე.

საფეხბურთო სტაჟი — 20 წელი!

თომას შტრუნცი გერმანიის ნაკრებში ხან დაკვაში თამაშობს, ხანაც შუა ხაზზე. თუმცა შედარებით ახალგაზრდა (დაიბ. 1968 წელს), მაგრამ შეიძლება ითქვას უდიდესი გამოცდილება აქვს. ხუმრობა ხომ არ არის — მისი საფეხბურთო სტაჟი დაახლოებით 20 წელს უდრის!

— თუ გნებავთ, ყველაფერში „დამნაშავე“ პაპაჩემი გახლავთ, — თქვა მან. — იგი ოდესღაც „დიუსელდორფის“ პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და სწორედ მან გადაწყვიტა შეც იგივე გზას დავდგომოდი. ჯერ-ჯერობით ეს ალბათ ასეთია, რომ მაშინვე ბურთი მაჩუქა.

5 წლის შტრუნცი უკვე დიუსელდორფის მოზარდთა გუნდების თამაშებზე დაჰყავდათ. აქედანვე აჩვენდნენ საფეხბურთო ატმოსფეროს. 8 წლისა თვით თამაშობდა კლუბის ბავშვთა გუნდში (რვიდან ათ წლამდე ბიჭუნებისათვის). ერთი სიტყვით, თომასმა ყველაფერზე ადრე ფეხბურთის თამაში ისწავლა.

13 წლისამ კლუბი გამოიცვალე, „დუისბურგში“ გადავბარგდი.

საყურადღებოა, რომ შტრუნცს თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. ადრინდელმა მწვრთნელებმა ყველას ამცნეს, თუ როგორი ნიჭის ფეხბურთელს მიაგნეს და ჭაბუკსაც სხვადასხვა დონის ნაკრებებში უხმეს.

17 წლის შტრუნცი „დუისბურგის“ ძირითად შემადგენლობაში ჩარიცხეს. იწყებდა ბუნდესლიგის მკაცრი გაკვეთილები. ახალი ნახევარმცველი 1990 წლამდე აპირებდა „დუისბურგში“ დარჩენას, მაგრამ მის თამაშს ყურადღება მიაქცია მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰაინესმა, რომელიც თავისი კლუბის გაძლიერების გზებს ეძებდა. როცა მენეჯერმა ამ სახელოვან კლუბში გადასვლა შესთავაზა, შტრუნცი, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა — „დუისბურგთან“ კიდევ ერთ წელს მაქვს კონტრაქტი, მაგრამ ჰაინესმა მაინც თავისი გაიტანა და 1989 წლიდან ახალგაზრდა ოსტატი ბუნდესლიგის წამყვან კლუბში აღმოჩნდა. მის საფასურად ნახევარი მილიონი მარკა გადიხადეს. ახლა შტრუნცს უკვე ევროპულ სარბიელზე შეეძლო ეთამაშა — „ბაიერნი“ ხომ სისტემატიურად მონაწილეობდა რომელიმე ევროპულ ტურნირში, უფრო ხშირად კი ჩემპიონთა თასზე. გფრ-ის ნაკრების მაშინდელი თავკაცი, ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც მრავალი წელი სწორედ ამ გუნდში გაატარა, ხშირად ესწრებოდა „ბაიერნის“ თამაშებს, შტრუნცი ძალიან მოსწონდა კიდეც, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი თავშეკავება გამოიჩინა და თქვა:

— უდავოა, შტრუნცი ფრიად ნიჭიერია, მაგრამ ნაკრებში ახლავე ვერ მივიწვევთ, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მისთვის ჯერ ადრეა. შტრუნცის დრო მოგვიანებით დადგება — 1992 წელს, როცა შვეიცარიი ევროპის ჩემპიონატი გამართება.

ახლა ისევ შტრუნცს მოვუსმინოთ, რომელიც მიიჩნევდა, რომ „ბაიერნში“ თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა.

— სტარტი უიმედო იყო, ტური ტურს მისდევდა, მე კი მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. შემდეგ ძირითადი მოთამაშე გავხდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც მცვლიდნენ.

პირველივე სეზონში შტრუნცმა „ბაიერნში“ 20 მატჩი ითამაშა და 5 გოლი გაიტანა, ამას დავუმატოთ 6 მატჩი ევროპულ ტურნირზე და 2 გოლიც. მწვრთნელი იუპ ჰეინკესი ვარაუდობდა, დებიუტანტი ძალიან სწრაფად შეეგუა „ბაიერნის“ რეჟიმს. იგი გუნდისათვის ძვირფას შენაძენად ჩათვალეს. შეიძლება კარგიც კი იყო, რომ მას იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრება არ „ეშუქრებოდა“ — საფუძვლიანად მოემზადა 1990-91 წლების სეზონისათვის, დაიჯახდა კიდეც.

აი, რას წერდნენ მასზე იმ დროს: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი **პაულ ბრაიტნერი** — „იგი ნამდვილი სუპერტალანტია“; გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი — „რა სალაპარაკოა, ბრწყინვალე მოთამაშეა“; „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰაინერი — „შტრუნცი ახალი რაიკარდია“, თვით შტრუნცი— „კარგია, როცა ასეთ მოთამაშეს გადარებენ, მაგრამ ეტყობა, არც ისე კარგად ვთამაშობ“. მაინც რა ჰქონდა მას რაიკარდთან საერთო? გერმანელი ექსპერტების აზრით, ეს, უპირველეს ყოვლისა იყო უდიდესი შრომისუნარიანობა.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში შტრუნცი, ცხადია, მონაწილეობდა, შემდეგ კი ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში ჩაება, კერძოდ, ტირანაში ალბანეთის ნაკრებთან, სადაც გერმანელებს ტრადიციულად არ გამოუვიდათ თამაში, იგი მოგვიანებით ჩერთო ბრძოლაში და შეძლო მასში გარდატეხის შეტანა.

გივი გამრეკელი

გერმანელი ფეხბურთის ვიკინგები ნეტცერი (მარცხნივ) და ბეკენბაუერი (კაპიტნის ხელსახვევით).

„80-იანი წლების ბეკენბაუერი“

1990 წლის მხოლოდ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, სადაც გერმანელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, როგორც ეს მუდამ ხდება, სპოლოო პრესკონფერენცია გაიმართა. ნაკრების მაშინდელმა ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა, რომლის უფლებამოსილებას უკვე ვადა გაუვიდა, აზრი გამოთქვა, რომელიც ბევრს სრულიად უცნაურად მოეჩვენა. კერძოდ, მან ილაპარაკა ორი გერმანული ნაკრების შესაძლო გაერთიანების შესახებ: „მაშინ ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ღირსეული მეტოქე არ გვეყოლება.“

ბეკენბაუერს ენამ უყივლა. ახალმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა მართლაც სოლიდური შევსება მიიღო გდრ-ის ნაკრების უოფილი მოთამაშეების მათიას ზამერის, თომას დოლის, ანდრეას ტომისა და ულფ კირსტენის სახით. მათგან ყველაზე მეტად ნაკრებს, შეიძლება ითქვას, ზამერი გამოადგა. ზამერმა „80-იანი წლების ბეკენბაუერის“ სახელიც კი დაიმსახურა. გასაგებია, ეს დიდი დიაპაზონის ფეხბურთელია. ნახევარმცველი „დირიჟორის ჭოხით“, რომელსაც საკმაოდ ხშირად გოლებიც გააქვს. და, მაინც, ბერტი ფოგთსის ძველი, ჭერჭერობით განუხორციელებელი იდეა ზამერის ლიბეროს პოსტზე გამოყენების შესახებ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ლიბეროს პოზიცია ითვლებოდა კარგა ხანს გერმანის ნაკრებში ყველაზე უფრო სუსტად. ამ მოვალეობას კარგა ხანს ასრულებდა ნიჭიერი და საკმაოდ პოპულარული თომას ბერთოლდი, მაგრამ მის ნაკლად ითვლებოდა არასტაბილურობა, არასაკმარისი ტაქტიკური დისციპლინა. ამიტომაც იყო, რომ ბერთოლდმა დატოვა ეს პოზიციაც და... ნაკრებიც. თავისებური „იძულებითი ლიბერო“ გახდა ნაკრების სული და გული ლოთარ მათეუსი, მაგრამ ამან, თავის მხრივ, დაასუსტა შუა ხაზი. წარმოიშვა აზრი მათეუსის კვლავ წინ წაწევის შესახებ, მაგრამ ამასობაში მან მძიმე ტრავმა მიიღო და ამიტომაც ახლაც „ისვენებს“.

მათიას ზამერი (დაიბ. **1967** წ. 5 სექტემბერს), შეიძლება ითქვას, „შთამომავლობითი ფეხბურთელია“. მამამისი კლაუსი თვით თამაშობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში, დრეზდენის „დინამოში“, შემდეგ კი ამავე გუნდს წვრთნიდა. ყველაფერი კარგად იყო, სანამ „დინამომ“ უეფას თასზე ლევერკუზენის „ბაიერთან“ სასტიკი მარცხი (**3:7**) იგემა, ამის შემდეგ კი კლაუს ზამერმა თვითონვე მიიჩნია, რომ გუნდში დარჩენის უფლება უკვე აღარ ჰქონდა.

მათიას ზამერი, რომელიც დიდხანს მამის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა, დრეზდენის „დინამოს“ წამყვანი ნახევარმცველი გახდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევის შემდეგ კი „შტუტგარტში“ გადავიდა. შემდეგ იგი უკვე ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს. მათიასი **1993** წლამდე მილანის „ინტერში“ თამაშობდა გერმანელ ოსტატებთან ლოთარ მათეუსსა და ანდრეას ბრემესთან ერთად. საბოლოოდ ამ გარიგებით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა: „ინტერი“ იმით, რომ კონკურენციას ვერ უწევდა „მილანს“, გერმანელები კი იმით, რომ ვერ „მოერგნენ“ იტალიურ ტაქტიკურ სქემებს, ვერ გამოავლინეს თავიანთი ნამდვილი შესაძლებლობანი. ამიტომაც იყო, რომ ზამერმა სიამოვნებით მიიღო ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის დორტმუნდის „ბორუსიის“ წინადადება და სამშობლოში დაბრუნდა. როცა პირველი, ორწლიანი კონტრაქტი დაუმთავრდა, მან უკვე ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და „ბორუსიაში“ **1999** წლამდე დარჩება.

მიმდინარე სეზონი ზამერისათვის საკმაოდ იღბლიანად წარიმართა. იგი სისტემატურად გამოდის ნაკრებში, სადაც სტაბილურად თამაშობს. „ბორუსია“ ახლა ლიდერობს ბუნდესლიგაში და ჩემპიონობის მოპოვების კარგი შესაძლებლობა აქვს. მისი წარმატება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის: აქ გამოდიან სეზარი (ბრაზილია), ცნობილი შვეიცარიელი სნაიპერი შაბიუუზა, გერმანიის ნაკრების წევრები როიტერი, მიოლერი, რიდლე და, რაც მთავარია, „ახალი ბეკენბაუერი“ — მათიას ზამერი.

გერმანელებს ვითომ ნაკლებად აფასებენ?

1956 წლიდან მოყოლებული, რაც „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული კონკურსი დწესდა, მიმომხილველები გერმანელ ფეხბურთელებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ლაურეატთა რიცხვში, ამასთან, ზოგჯერ იყო შემთხვევები, როცა „ოქროს ბურთსაც“ გერმანელი ეუფლებოდა, „ვერცხლსაც“ და „ბრინჯაოსაც“.

თუმცა, ჯობს, თვით გამარჯვებულთა ცხრილებს გადავხედოთ:

1958 წელი. 2. ჰელმუტ რანი (ესენის „როტ-ვაისი“); 1960 წელი — 3. უდო ჰელერი („ჰამბურგერ შპორტფერაინი“); 1962 წელი — კარლ-ჰაინც შნელინგერი („კიოლნი“); 1966 წელი — 3. ფრანც ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი“); 1969 წელი — 3. გერდ მიულერი (მიუნხენის „ბაიერნი“); 1970 წელი — 1. გერდ მიულერი („ბაიერნი“); 1972 წელი — 1. ბეკენბაუერი („ბაიერნი“), 2. მიულერი („ბაიერნი“), — გიუნტერ ნეტცერი (შენხენგლადბახის „ბორუსია“); 1973 წელი — 3. მიულერი („ბაიერნი“); 1974 წელი — 2. ბეკენბაუერი („ბაიერნი“); 1975 წელი — 2. ბეკენბაუერი („ბაიერნი“); 1976 წელი — 1. ბეკენბაუერი („ბაიერნი“); 1979 წელი კარლ-ჰაინც რუმენიგე („ბაიერნი“); 1980 წელი — 1. რუმენიგე („ბაიერნი“), 2. ბერნდ შუსტერი („ბარსელონა“);1981 წელი — 1. რუმენიგე („ბაიერნი“), 2. პაულ ბრაიტნერი („ბაიერნი“), 3. შუსტერი („ბარსელონა“); 1985 წელი — 3. შუსტერი („ბარსელონა“); 1990 წელი — ლოთარ მათეუსი (მილანის „ინტერი“), 3. ანდრეას ბრემე (მილანის „ინტერი“); 1991 წელი — 2. მათეუსი („ინტერი“).

ასეთი მაჩვენებლების შემდეგ ძალზე საკვირველი იყო „ფრანს ფუტბოლის“ ბოლო, 1994 წლის კონკურსის შედეგები. მასში გერმანელთა შორის საუკეთესო ოურგენ კლინსმანი (ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“) 43 ქულით მხოლოდ საერთო მეექვსე ადგილზე გამოვიდა (შეადარეთ ეს გამარჯვებულ ხრისტო სტოიჩკოვის 210 ქულას!). 3 ქულით მხოლოდ მე-17 — მე-20 ადგილები გაიყო ლოთარ მათეუსმა (მიუნხენის „ბაიერნი“), ხოლო ერთი ქულით 24-ე — 28-ე ადგილები გაიყო ანდრეას მიოლერმა (დორტმუნდის „ბორუსია“).

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ:

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲛᲔᲗᲘᲗᲠᲐᲛᲔᲢᲔᲡᲐ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, ამას წინათ, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირიდან მიიღო კონტინენტის ქვეყნების ნაკრები გუნდების ოფიციალური კლასიფიკაცია 1994 წლის შედეგების მიხედვით.

მოგვყავს უეფას ეს სარეიტინგო სია-მთლიანად:

1. იტალია - 14.142
2. გერმანია - 10.666
3. პორტუგალია - 9.800
4. ესპანეთი - 8.666
5. ინგლისი - 8.500
6. საფრანგეთი - 8.200
7. ავსტრია - 6.000
8. ნორვეგია - 5.666
9. ისრაელი - 5.500
10. ბელგია - 5.400
11. თურქეთი - 4.750
12. საბერძნეთი - 4.500
13. ხორვატია - 4.000
14. რუსეთი - 4.000
15. დანია - 3.750
16. ისლანდია - 3.333
17. უკრაინა - 3.333
18. საქართველო - 3.000
19. შოტლანდია - 3.000
20. კვიპროსი - 2.666
21. ჰოლანდია - 2.600
22. პოლონეთი - 2.500
23. სლოვენია - 2.333
24. ფინეთი - 2.333
25. სლოვაკეთი - 2.333
26. შვეიცარია - 2.250
27. რუმინეთი - 2.200
28. ლატვია - 2.000
29. შვეცია - 1.750
30. ბულგარეთი - 1.750
31. ჩრ.ირლანდია - 1.666
32. მალტა - 1.666
33. უნგრეთი - 1.500
34. ბელარუსი - 1.500
35. ირლანდია - 1.333
36. მოლდოვა - 1.000
37. ფარერის კ-ბი - 1.000
38. ჩეხეთი - 1.000
39. უელსი - 1.000
40. ალბანეთი - 1.000
41. ესტონეთი - 0.500
42. ლუქსემბურგი - 0.000
43. იუგოსლავია - 0.000
44. ლიტვა - 0.000
45. სომხეთი - 0.000
46. აზერბაიჯანი - 0.000
47. მაკედონია - 0.000

თავის ამ ტრადიციულ რეიტინგლისტს უეფა სისტემატურად აქვეყნებს, აქ საქართველოს ფეხბურთმა მნიშვნელოვნად წაიწია წინ და გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს ვიდრე შარშან (36-ე ადგილი). კერძოდ, იგი ამჯერად უსწრებს ისეთ აღიარებულ საფეხბურთო ქვეყნებს, როგორებიცაა შოტლანდია, ჰოლანდია, პოლონეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია, რუმინეთი, შვეცია, ბულგარეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, უნგრეთი, ირლანდია, ჩეხეთი და სხვანი. არ შეიძლება სიხარულით არ შევხვდეთ ჩვენი ფეხბურთის ესოდენ მკვეთრ წინსვლას, დიდი წვლილი შეიტანა მასში თბილისის „დინამომ“, რომელიც შარშან უეფას თასის გათამაშებაში ქულათა საკმარისი მარაგი მოიპოვა. წლეულს საქართველოს რამდენიმე გუნდი გამოვა საკონტინენტო შეჯიბრებებში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი მაჩვენებლები კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს საერთო მდგომარეობას.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველო — გერმანია: 65 წლის წინათ

29 მარტი, უდავოდ, დიდად ღირსშესანიშნავი თარიღია, ფრიად მნიშვნელოვანი, საგანგებო საფეხბურთო მოვლენა: თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართავად ჩამოდის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1954, 1974, 1990 წლები), თანამედროვე ელიტის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო გუნდი, რომლის შემადგენლობაში მუდამ იყვნენ და არიან ექსტრაკლასის, ბრწყინვალე მოთამაშეები, რომელთა უშუალო ხილვა მწვანე მინდორზე ფეხბურთის მოყვარულის, გულშემატკივრის ჭეშმარიტი ზეიმია...

გერმანიის ფეხბურთელები თბილისში პირველად ჩამოსულან 1930 წლის შემოდგომით. ეს გახლდათ გერმანიის მუშათა ნაკრები, რომელმაც ჩვენს ქალაქში ორი საერთაშორისო მატჩი გამართა — 17 და 19 სექტემბერს. ამ ნაკრებმა თბილისში ჩამოსვლამდე მოსკოვში ითამაშა ცდკა-სთან (2:2), შემდეგ მინსკში მოუგო ჯერ ქალაქის ნაკრებს (3:0), მერე კი ბელორუსიის ნაკრებს (4:0), ითამაშა გომელში და ვორონეჟში და ორივეჯერ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა (12:1 და 5:0). თუ ამ შედეგებით ვიმსჯელებთ, სტუმრებს თბილისში ინტერესით მოელოდნენ. მას დიდი რეზონანსი ჰქონდა.

პირველი მატჩი 17 სექტემბერს გაიმართა ლენინის სახელობის სტადიონზე. (ახლანდელი, ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონი მოგვიანებით, 1935 წელს აშენდა). ლენინის სტადიონი მდებარეობდა მაშინდელი სართანიას ქუჩაზე (მანამდე მას ფეიერვერკის ქუჩა ერქვა), თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გვერდით. მატჩს იმ დროისათვის საოცრად მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო — 4 ათასი. სტუმრებს უმასპინძლა „მეტალისტმა“ და გაიმარჯვა 1:0, ეს ერთადერთი ბურთი მ. მაჩაბელმა გაიტანა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობა: დ. ბომაია, ვ. რუსიძე, მ. მესხი, ე. ნეკლალაშვილი, გ. სიხარულიძე, ა. გონელი, ს. კლოკი, ა. ბელოუსკო, მ. იამანოვი, ა. სუშკოვი, შ. ბაჩაბელი.

19 სექტემბერს გერმანელები თბილისის „მესტრანს“ შეხვდნენ, თამაში ფრედ დასრულდა — 2:2.

შემდეგ, უკვე არაერთგზის შეხვედრიან ერთმანეთს გერმანელი და ქართველი ფეხბურთელები, მაგრამ დღეს ჩვენ ის პირველი ნაბიჯები გავიხსენეთ, რომელიც შემდგომი ურთიერთობების საწინდარი გახდა.

ᲑᲘᲭᲘᲙᲝ ᲥᲝᲠᲥᲘᲐ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ

ევროპის 1996 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, როგორც ცნობილია, გაიმართება ინგლისში. ამასთან დაკავშირებით ინგლისელებს გადაწყვეტილი აქვთ თავისებური რეპეტიცია მოაწყონ, რომლის შეხვედრები ჩაივლის ლონდონის, ლივერპულის, ბირმინგემის, ლიდსისა და ნოტინგემის სტადიონებზე. ტურნირში სავარაუდოა ბრაზილიის, შვეციის, იაპონიისა და ინგლისის გუნდების მონაწილეობა. გათამაშება გაიმართება ივნისის დასაწყისში.

ᲑᲔᲠᲜᲓ ᲨᲣᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲒᲝᲚᲘ

„1994 წლის საუკეთესო გოლად“ მიიჩნიეს ფრანკფურტის „აინტრახტის“ მოთამაშის ბერნდ შუსტერის გოლი, რომელიც მან შარშან 26 ივლისს გაიტანა ბუნდესლიგის ჩემპიონატში ლევერკუზენის „ბაიერთან“ შეხვედრაში 45 მეტრის მანძილიდან.

ბ.შუსტერი ბუნდესლიგის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ერთ სეზონში სამჯერ შეძლო „თვის საუკეთესო გოლის“ გატანა. ამ კონკურსს წლეულს 25 წელი უსრულდება.

ᲞᲔᲚᲔ:

„ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ!“

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ, რომელიც ამჟამად ამ ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრია, კორესპონდენტებთან საუბარში აზრი გამოთქვა, რომ სტადიონებზე უწესრიგობისა და ძალმომრეობის აღკვეთის საუკეთესო საშუალებად მიაჩნია ქალები და ბავშვები ტრიბუნებზე უფასოდ დაუშვან. მისი აზრით, თუ მაყურებელი ამგვარ საოჯახო ვითარებაში აღმოჩნდება, იგი ნაკლებად იფიქრებს ხულიგნობასა და დებოშზე.

ᲛᲐᲓᲚᲘ ᲰᲥᲔᲜᲘ...

20 წლის ახალგაზრდამ აკაკი პირველმა, რომელიც დიდხანს თამაშობდა ფეხბურთს „ავაზაში“, უბედური შემთხვევის გამო მიიღო ზურგის ტვინის დაზიანება, დაკარგა მოძრაობის უნარი და მიჯაჭვულია ლოგინს. სამკურნალო-ფინანსური დახმარებისათვის საქართველოს კომერციულ ბანკ „საქართველოს ბანკში“ თანხების გადასარიცხად გახსნილია ანგარიშები: 201070472 — აშშ დოლარებში; 213070172 — რუსულ რუბლებში; 202070772 გერმანულ მარკებში.

გთხოვთ გამოიჩინოთ გულმოწყალება!

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები.

ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:1 (პირველი მატჩი 1:1).

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „მილანი“ (იტალია) 0:0 (0:2).

„აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ჰაიდუკი“ (ხორვატია) 3:0 (0:0).

„გეტებორგი“ (შვეცია) — „ბაიერნი“ (გერმანია) 2:2 (0:0).

მეოთხედფინალში ერთმანეთს ეჯახებიან „პარი სენ-ჟერმენი“ — „მილანი“, „აიაქსი“ — „ბაიერნი“.

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

„ჩელსი“ (ინგლისი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 2:0 (0:1).

„პორტუ“ (პორტუგალია) — „სამპდორია“ (იტალია) 0:1 (1:0); დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „სამპდორიამ“ — 5:3.

„ოსერი“ (საფრანგეთი) — „არსენალი“ (ინგლისი) 0:1 (1:1).

„სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 2:0 (0:1).

ნახევარფინალში „ჩელსი“ შეხვდება „სამპდორიას“, ხოლო „არსენალი“ — „სარაგოსას“.

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲘ

„იუვენტუსი“ (იტალია) — „აინტრახტი“ (გერმანია) 3:0 (1:1).

„ბორუსია“ (გერმანია) — „ლაციო“ (იტალია) 2:0 (0:1).

„ოდენსე“ (დანია) — „პარმა“ (იტალია) 0:0 (0:1).

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ბაიერი“ (გერმანია) 0:0 (1:5).

მეოთხედფინალის წყვილები: „იუვენტუსი“ — „ბორუსია“, „პარმა“ — „ბაიერი“.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ!

ფეხბურთის თამაშის წესები მეტისმეტად ძველია და არქაული! ამაზე ხშირად ლაპარაკობენ გულშემატკივრები, ამავე აზრს იზიარებს ბევრი სპეციალისტიც.

მაგრამ ეს მთლად ასე არაა. ბოლო ხანებში, აგერ ჩვენს თვალწინ, ამ უძველესი და ყველაზე პოპულარული თამაშის წესებში ბევრი რამ შეიცვალა, მრავალი სიახლე დაკანონდა, მაგრამ, ეტყობა, ეს საკმარისი არ არის, კვლავ და კვლავ არის ჭდები იმისა, რომ სათანადო ექსპერიმენტებისა და ძიების შემდეგ ფეხბურთს მეტი დინამიკა და ექსპრესია შეემატოს, გამრავალფეროვნდეს, სანახაობრივად უფრო საინტერესო გახდეს.

აი, ახლაც, შოტლანდიის ქალაქ ტერნბერიში წესების საერთაშორისო კომიტეტის მორიგ, ყოველწლიურ სხდომაზე კომიტეტის შემადგენლობა — დიდი ბრიტანეთის ოთხივე ასოციაციის წარმომადგენლები, ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი და გენერალური მდივანი იოჭეფ ბლატერი განიხილეს კოდექსში მოსალოდნელ ცვლილებათა მთავარი საკითხები.

შოტლანდიელები, მაგალითად, ფიქრობენ შეიცვალოს „თამაშგარეშე მდგომარეობის“ (ოფსაიდი) ფიქსირება და ერთმანეთისგან განასხვავონ ფეხბურთელის „აქტიური“ და „პასიური“ მდგომარეობა, უფრო კონკრეტულად — თამაში არ შეწყდეს, თუ მოთამაშე პასიურ მდგომარეობაში იმყოფება და უშუალო გავლენას არ ახდენს შეტევის მსვლელობაზე. ეს ძველი თემაა. მართლაც, რატომ უნდა დაისაჯოს გუნდი, თუ შეტევა, ვთქვათ, მარჯვენა ფლანგიდან ან ცენტრიდან მიმდინარეობს, ამ დროს კი მოიერიშე გუნდის რომელიმე ფეხბურთელი მარცხენა ფლანგზე უნებურად მცველზე ახლოს აღმოჩნდა კართან და ამ მომენტში არ სარგებლობს თავისი ამ მდგომარეობით. ფაქტიურად ხომ იგი არ მონაწილეობს თამაშში.

კიდევ ერთი სიახლე: ნება დაერთოს 3 შეცვლას თამაშის მსვლელობაში მოთამაშის ამპლუის მიუხედავად (ახლანდელი წესებით ნებადართულია მინდვრის ორი მოთამაშისა და ცალკე მეკარის შეცვლა).

ორივე ეს ცვლილება კომიტეტმა მოიწონა.

ბრაზილიაში ამჟამად, თურმე, ცდიან ახალ წესს: თითოეულ გუნდს უფლება აქვს გამოიყენოს ორი 2-წუთიანი შესვენება, ტაიმ-აუტები; ერთი — პირველ ტაიმში, მეორე — შესვენების შემდეგ, მაგრამ ორივეჯერ ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს ტაიმის 25-ე წუთისა. კომიტეტმა გადაწყვიტა ეს ექსპერიმენტი გამოსცადოს რომელიმე ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირში (იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი, ოლიმპიური თამაშები და ა.შ.).

წესების კომიტეტმა ტერნბერის სხდომაზე განიხილა, აგრეთვე, სხვა საკითხებიც: ბურთის აუტიდან ფეხით ჩაწოდება, გაუქმდეს მატჩის შემდგომი დამატებითი 11-მეტრიანები, განიხილეს წინადადება დამატებით დროში გუნდებში, თუ საჭირო შეიქმნა, თანდათან შემცირდეს მოთამაშეთა რაოდენობა, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ამ ცვლილებების დაწესება ჯერჯერობით ადრეა, საჭიროა შემდგომი ექსპერიმენტები.

იმ ცვლილებებს, რომლებსაც კომიტეტი დაეთანხმა, 31 მაისს განიხილავენ ფიფას აღმასკომის სხდომაზე ციურიხში და მოსალოდნელია, რომ მათ დააკანონებენ პრაქტიკაში. ამავე დროს კომიტეტმა არ მოიწონა ცალკეული ეროვნული ფედერაციების უნებართვო „თვითმოქმედება“: სანიმუშოდ მოიყვანეს მაგალითები, რომ გერმანიასა და თურქეთში ფიფას უნებართვოდ უკვე მიმართავენ ვიდეოჩანაწერის განხილვას და ამის საფუძველზე ნიშნავენ გადათამაშებას. ეს ამჟამად მოქმედი კოდექსის საწინააღმდეგო აქცია გახლავთ.

ტერნბერის თათბირის თაობაზე ცნობა გამოაქვეყნა რეიტერის სააგენტომ.

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐ

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ოფიციალური ბრალდება წაუყენა „არსენალის“ ყოფილ მწვრთნელ ჯორჯ გრემს, რომელსაც ბრალად ედება დიდი ოდენობით ქრთამის მიღება დანიელი იონ იენსენისა და ნორვეგიელი პალლიუდერსენის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის ხელშეწყობისათვის. კომისიამ უტყუარი მტკიცებების საფუძველზე დაადასტურა, რომ მწვრთნელმა კანონის შემოვლით მართლაც მიიღო 425 ათასი გირვანქა სტერლინგი. როგორც გაირკვა, გრემს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონია ნორვეგიელ აგენტთან — რუნე ჰაუგესთან, რომელიც იცავდა ორთავე ფეხბურთელის ინტერესს და რომელმაც მას გადასცა ეს თანხა.

გრემს თავისი პოზიციების დასაცავად სამი კვირა აქვს. დანაშაულში ეჭვმიტანილის ადვოკატი არ უარყოფს ფულის მიღების ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს თანხა აგენტის პირადი პრეზენტი იყო.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.